ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №15

ქ. თბილისი

19.09.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
მარინა უშვერიძე - PH International, სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი:
გიორგი ჩავლეიშვილი - დირექტორი

შპს რობერ შუმანის ევროპული სასწავლებელი:
თამარ სარაჯიშვილი - დამფუძნებელი;
ხათუნა კერესელიძე - დირექტორი;
მარიამ გიორგაძე - სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი.

შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე:
ნაირა ტუღუში - დირექტორის მოადგილე;
ელენე კალანდაძე - იურისტი.

შპს ევროპული სკოლა:
გურანდა ჭელიძე - დირექტორის მოადგილე;
ნანა ივანიძე - სასწავლო პროცესის კოორდინატორი.

შპს ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერია:
ნინო გერგიძე-რიჟამაძე - დირექტორი;

შპს მომავლის სკოლა:
დიმიტრი მეტრეველი - დამფუძნებელი;
ნინო ქორელი - დირექტორის მოადგილე;
ნატო მიქავა - საქმეთამწარმებელი.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა:
ირმა მესხიშვილი - დირექტორი;
მეგი ტალახაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
ნანა ბარნაბიშვილი;
გიორგი ლასხიშვილი;
ქეთევან ბოტკოველი;
იანინა გიგიბერია;
ლია გრიგოლია;
ნინო ბალანჩივაძე;
ლიანა კობესაშვილი;
ლელა ბუბაშვილი;
თეა შაყულაშვილი;
მარინა სეხნიაშვილი;
ნოდარ ანგურიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:40 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსისათვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ის წერილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხი დამატებოდა დღის წესრიგს და გასულიყო მიმდინარე სხდომაზე. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინა ახალი დღის წესრიგი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ახალი სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსისათვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School - ისათვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსისათვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ საკითხის განხილვის დაწყებამდე მოითხოვა აცილება, რადგან რომ მისი შვილი სწავლობდა აღნიშნულ სკოლაში. არსებული საკითხის წარსადგენად კი დაასახელა რევაზ აფხაზავა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. რეზო აფხაზავამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ნანა ბარნაბიშვილმა. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მატერიალური რესურსი. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას ყველანაირი რესურსი გააჩნდა იმისათვის, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა გაეზარდა 65 ერთეულით. ნანა ბარნაბიშვილმა სხდომაზე აღნიშნა, რომ სკოლაში იყო 12 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი იყო კეთილმოწყობილი, აღჭურვილი ერთადგილიანი მერხებით, სკამებით და სასწავლო პროცესის შესაბამისი ინვენტარით. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზუალური დათვალიერებით და შეძენის დოკუმენტაციით სკოლას უდასტურდებოდა 235 სკამი და 180 მერხი, საიდანაც 65 შესყიდული იყო 2016 წლის აგვისტოს თვეში.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ ექსპერტს განუცხადა, რომ 2015-2016 სასწავლო წლიდან დაწესებულებამ შეიცვალა მისამართი, რის გამოც განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი სიღრმისეულად. მისი თქმით, საბჭოს წევრები კარგად იცნობდნენ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და აღარ იყო საჭირო საკითხის ხელახლა განხილვა. ხათუნა ბარაბაძეს საბჭოს სხვა წევრებიც დაეთანხმნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების " 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსს (ს/კ: 404989704) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

2. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School - ისათვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მატერიალური რესურსი.

ნოდარ ანგურიძის განცხადებით, დაწესებულება ფუნქციონირებდა და ავტორიზაციის მიღებიდან დღემდე სასწავლო პროცესს ახორციელებდა მისამართზე: თბილისი, რამიშვილის ქ. №6. ექსპერტის თქმით, სკოლამ გაფართოების მიზნით იჯარით აიღო კიდევ ერთი შენობა მისამართზე თბილისი, შოვის ქ. №3. ორივე მისამართზე სკოლას შენობა მიღებული ჰქონდა იჯარით სარგებლობის უფლებით ერთი და იგივე იურიდიული პირებისგან შპს „ეი თი ჯგუფი" და შპს „ქართულ ამერიკული უმაღლესი სკოლისგან" რამიშვილის ქუჩაზე მდებარე ხუთსართულიანი შენობის სართულებს გააჩნდა საჯარო რეესტრის ცალ-ცალკე ამონაწერები, შესაბამისად სკოლაზე იჯარით გადაცემული იყო ცალკეული სართულები.

ექპსერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ორივე მისამართზე სასკოლო დაწესებულება აღჭურვილი იყო ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით. კერძოდ, რამიშვილის ქუჩაზე მდებარე შენობა აღჭურვილი იყო 282 ინდივიდუალური მერხით და სკამით, ხოლო შოვის ქუჩაზე 179 მერხით და სკამით (სულ 461 მერხი და სკამი). პირველ მათგანში იყო 20 საკლასო ოთახი, მეორეში 11 საკლასო ოთახი. ორივე შენობაში იყო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, ექიმის ოთახი სამედიცინო ინვენტარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტებითა და საშუალებებით.

ნოდარ ანგურიძის განცხადებით, რამიშვილის ქუჩაზე სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 3 კამერა, (ორი ძირითადზე, ერთი დამატებით შესასვლელზე), ასევე ორი კამერა იყო დამონტაჟებული შოვის ქუჩაზე მდებარ შენობის მთავარ შესასვლელზე. გარდა ამისა შენობათა შიდა პერიმეტრს აკონტროლებდა 35 კამერა. (25 კამერა რამიშვილზე, 10 კამერა - შოვის ქუჩაზე). კამერების გამოსახულება აისახებოდა დაცვისთვის გამოყოფილ ფართში განთავსებულ მონიტორებზე. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამებოდა მოთხოვნილ პარამეტრებს.

ექსპერტის განცადებით, სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობები იყო ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და სპორტული ცეკვები. სკოლის ორივე შენობის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ორი მცირე ზომის სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით, ხოლო რამიშვილის ქუჩაზე არსებულ შენობაში იყო დარბაზი, სპორტული ცეკვებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორივე შენობაში სასწავლო პროცესი აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტს.

10

ირინა აბულაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა აკადემიური პერსონალის შესახებ, კერძოდ, აპირებდნენ თუ არა პედაგოგების დამატებას. დაწესებულების წარმომადგენელის განაცხადებით, დამატებითი კლასების გახსნის შემთხვევაში დაამატებდნენ პედაგოგებს. ამ ეტაპზე არ იყო საჭიროება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული სკოლისთვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების " 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული სკოლას (ს/კ 404965169) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

3. შპს რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტის განცხადებით, შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი“ წარმოადგენდა ხუთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გაერთიანებას და შესაბამისად ახორციელებდა ხუთ საგანმანათლებლო პროგრამას: საგანმანათლებლო პროგრამა „სენტ-ეგზიუპერი“; საგანმანათლებლო პროგრამა "ანი - z"; საგანმანათლებლო პროგრამა "მოძღვარი"; საგანმანათლებლო პროგრამა „მარი ბროსე“ და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საგანმანათლებლო პროგრამა. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლამ ვიზიტის დროს წარადგინა დირექტორატის მიერ დამტკიცებული 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ექვსი საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და ისტ-ის, უცხოური ენების და ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის კათედრები, სადაც საგნობრივ ჯგუფებში გაერთიანებული იყო ყველა მასწავლებელი. კათედრების ფუნქციები იყო: კათედრების საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია, ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, დაწესებულებას გააჩნდა გამართული ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილი იყო სათანადო მატერიალური რესურსით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს რობერ შუმანის სახელობის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404901406) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600-ით.

4. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, გიმნაზიამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 2015-2016 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლის პროცესის დაწყების თარიღამდე დარჩენილი იყო საკმაო დრო იმისთვის რომ სკოლას დახვეწილი სახით დაემტკიცებინა ახალი სასკოლო გეგმა.

ექსპერტის განცხადებით, კათედრების პორტფოლიოებში განთავსებული იყო შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები შესაბამისი მიზნებით, შეფასების რუბრიკებით, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილი ნიმუშებიდან ჩანდა, რომ მოსწავლე ფასდებოდა არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის მიხედვით, არამედ მისი მაღალი დონის სააზროვნო უნარების მიხედვითაც - ნიმუშში იყო როგორც დახურული, ისე ღია ტიპის კითხვები.

ექსპერტმა შეხვედრაზე ასევე აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ შეფასების შედეგად რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული იყო რეკომენდაციები. თუმცა უმეტეს შემთხვევაში რეკომენდაციები ზოგადი ხასიათის და ერთნაირად წარმოდგენილი იყო. მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელს ჰქონდა შემუშავებული თვისობრივი ანალიზი კონკრეტული პრობლემების გათვალისწინებით და რეკომენდაციები - გათვლილი თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კათედრებს შემუშავებული ჰქონდათ შემაჯამებელი სამუშაოების სემესტრული ანალიზის ერთიანი ფორმა, რომელიც განხილული იყო კათედრების სხდომებზე.

ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, მატერიალური თვალსაზრისით სკოლა აღჭურვილი იყო მოსწავლისთვის საჭირო ყველა საჭირო ინვენტარით. პრობლემას წარმოადგენდა რუსული ენის სწავლებისა და მეორე ცვლის საკითხი, რაც საბჭოს წევრებმაც გაიზიარეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიმნაზია 21-ე საუკუნისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 430-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: ქეთევან ჭკუასელმა, ხათუნა ბარაბაძემ და თამარ ფხალაძემ

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეს (ს/კ: 245433865) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 430-ით.

18

6. შპს ნინო გერგიძის კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა მარინე სეხნიაშვილმა, მისი განცხადებით, სკოლა აკმაყოფილებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ექსპერტის განცხადებით სკოლა მოქმედებდა როგორც დღის პირველ ნახევარში, ასევე მეორე ნახევარში სხვადასხვა სახის წრისთვის. ექსპერტთან ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, დასკვნა დადებითი სახის იყო და არსებითი შენიშვნებით არ ხასიათდებოდა. ასევე მარინე სეხნიაშვილის განცხადებით, სკოლა ბევრ სხვა საჯარო სკოლაზე უკეთესად ასრულებდა დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობას, რაზეც საბჭოს წევრების მხრიდან ცალსახა უკმაყოფილება იქნა გამოხატული. მათ ექსპერტს კორექტულობისკენ მოუწოდეს. თეა შაყულაშვილის განცხადებით, ყველა მოსწავლე უწევდა სკოლას რეკომენდაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნინო გერგიძის კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 270-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ნინო გერგიძის კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლას (ს/კ: 206078965) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 270-ით.

7. შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ და რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით იყო მომზადებული, გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან.

ექსპერტის განცხადებით, ევროპულ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდებოდა სამი მიმართულებით, სამი განსხვავებული გეგმით: ეროვნული სასწავლო გეგმით (I-XII კლასები), საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამით (I-V კლასებისთავის PYP, VI-X კლასებისთვის MYP, და XI-XII კლასებისთვის DP) და ამერიკული პროგრამით AHS (VIII-XII კლასები).დამატებით საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებაში დაწესებულება თავის მოსწავლეებს სთავაზობდა ფაკულტატურული სახით: გახანგრძლივებულ რეჟიმს, თეოლოგიურ და მითოლოგიურ საკითხებს, ინტელექტუალთა კლუბს, ჭადრაკს, ქორეოგრაფიას (ქართული ხალხური ცეკვის ელემენტები), შემოქმედებით აქტივობას (თეატრალური, სატელევიზიო, სამუსიკო, სამხატვრო, ფოტო აქტივობები), ჯეკ ლონდონის სახელობის ინგლისური ენის კლუბს, ალექსანდრე ჰუმბოლტის სახელობის გერმანული ენის კლუბს, ალექსანდრე პუშკინის სახელობის რუსული ენის კლუბს, და სავალდებულო სახით რობოტექნიკის საფუძვლების სწავლებას I-VIII კლასებში. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა აღნიშნული დამატებითი მომსახურების მიზნები და თემატური გეგმები თავისი შედეგებით. დაწესებულებაში საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნილი იყო 9 კათედრა. კათედრები ახდენენ საგნის/საგნების სწავლების კოორდინირებას, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

ლიანა კობესაშვილის განცხადებით, დაწესებულება ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირ N34 გ-ში .ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებს სულ 54 საკლასო ოთახი. მათ შორის 30 საკლასო ოთახი ესგ-ის განმახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამისთვის. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით. ყველა ოთახში დამონტაჟებული იყო კომპიუტერი, პროექტორი და სასკოლო დაფა(ცარცის და მაგნიტური), კედლის კარადები.

ექსპერტებმა და საბჭოს წევრებმა დაადასტურეს სტანდარტების დაკმაყოფილების საკითხი, ასევე აღინიშნა რომ საბჭომ იმსჯელა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ევროპულ სკოლას (ს/კ: 205172917) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

შპს ვერის უბნის ლიცეუმის წარმომადგენლების სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, საკითხის განხილვა არ მომხდარა.

17:00 საათზე სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა მარინა უშვერიძემ და თამარ ფხალაძემ.

18

8. შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ნინო ბალანჩივაძემ და ნოდარ ანგურიძემ, მათი განცხადებით ნაწილი ხარვეზებისა აღმოიფხვრა, საბჭოს სხდომამდე ხოლო ნაწილი კვლავ რჩებოდა პრობლემად. ექსპერტებმა ისაუბრეს დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე:

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

2016/17 სასწავლო წელს II-XII კლასებში სწავლა იწყება 19 სექტემბერს, ხოლო I კლასში - 24 სექტემბერს. სასწავლო პროცესი მთავრდება II-XI კლასისთვის 23 ივნისს; I კლასისთვის 16 ივნისს; ხოლო XII კლასისთვის - 19 მაისს. ზამთრის არდადეგები იწყება 28 დეკემბერს, მთავრდება 16 იანვარს, სააღდგომო არდადეგებია 10-17 აპრილი. აღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ I კლასელები სწავლობენ 34 კვირა; II-XI კლასელები სწავლობენ 35 კვირა, ხოლო XII კლასელები 30,2 კვირა. იგივეა აღნიშნული სასკოლო გეგმაში **აღნიშნულით კი დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით** კერძო სკოლებმა შესაძლოა დაადგინონ სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების განსხვავებული თარიღები და არდადეგების განსხვავებული დრო და ხანგრძლივობა, მაგრამ ერთი აკადემიური წლის მანძილზე II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 34 კვირაზე ნაკლები, ხოლო I და XII კლასებისთვის 33 კვირაზე ნაკლები.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა 2016 წლის 27 ივნისის პარტნიორთა კრების ოქმი N5 რომელმაც დაადგინა, რომ სასწავლო წელი პირველკლასელთათვის დაიწყოს 24 ოქტომბერს. **ასეთ შემთხვევაში არც პირველკლასელთათვის დაკმაყოფილდება ესგ-ს ზემოთ აღნიშნული მუხლის მოთხოვნა და სასწავლო კვირების რაოდენობა I კლასისთვის 33-ის ნაცვლად 31 კვირა იქნება.**

გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია. II-XII კლასებისთვის მეორე შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრeba 10 წუთით, მეოთხესი - 20 წუთით, დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობა კი 5-5 წუთით. I კლასისთვის მეოთხე შესვენება 30 წუთი, დანარჩენი 15-15 წუთი.

სკოლის დღის რეჟიმში გასათვალისწინებელია ინგლისურენოვანი ამერიკული პროგრამის გაკვეთილებიც, რომლის თითო გაკვეთილის ხანგრძლივობა 1 სთ და 10 წთ გრძელდება და ორ ცვლად მიმდინარეობს, თითო ცვლაში 2 გაკვეთილი 20 წუთიანი დასვენებით გაკვეთილებს შორის. ამ პროგრამის გაკვეთილების დაწყება დამთავრება არ არის თავსებადი

ქართულ სექტორზე გაკვეთილების დაწყება დამთავრებასთან და ქართულ სექტორზე ზოგიერთ კლასში გაკვეთილები იწყება ამერიკული პროგრამით და გრძელდება ქართული სასწავლო გეგმით, ზოგან პირიქით, იწყება ქართულით და გრძელდება ამერიკულით ამასთან ამერიკული პროგრამისთვის განკუთვნილი 5 სპეციალური საკლასო ოთახი ე.წ. „სასწავლო ცენტრი" მუდმივად დაკავებულია დღის განმავლობაში.

სკოლაში ცალკეულ კლასში მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 5-20 მოსწავლით.

სკოლის სასწავლო პროცესის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა აღინიშნოს მისი ინგლისურენოვანი პროგრამა, როგორც პროგრამის აღწერიდან და ძირითადი კონცეფციიდან ირკვევა, ამ პროგრამას ახორციელებს ACE SCHOOL OF TOMORROW -ს კერძო სკოლების ქსელი ამერიკაში, ევროპაში და ზოგიერთ პოსტ საბჭოთა ქვეყანაში. პროგრამა გათვალისწინებულია ქრისტიანული მოძღვრებისა და საგანმანათლებლო კონცეფციების ყველა ის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც საფუძველს უყრის ზნეობრივ და ინტელექტუალურ პიროვნების ჩამოყალიბებას. აქვეა განმარტებული, რომ სკოლის ინგლისურ სექტორში სწავლება ეფუძნება რ. ჰოვარდის პროგრამას.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამა, გარდა ინგლისური სექტორისა, ხორციელდება ქართულ სექტორზეც, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მინიჭებული ნებართვის საფუძველზე. ამ ფაქტის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი მიწერილი წერილები და სამინისტროს თანხმობის წერილი.

აღნიშნული პროგრამა სავალდებულოა ქართული სექტორის I–VIII კლასებისთვის, ხოლო IX-XII კლასებისთვის ნებაყოფლობითია. აღნიშნული პროგრამა ინგლისურ სექტორის მოსწავლეთათვის ორ დონიანია. პირველი - მინიმალური დონე სავალდებულოა, ამასთან მათ სურვილის მიხედვით შეუძლიათ დაიმატონ მეორე გაძლიერებული დონე. **სკოლა ავტორიზაციის მიღებას გეგმავს მხოლოდ ქართული სექტორისთვის და აღნიშნული პროგრამა სასკოლო სასწავლო გეგმაში დაფიქსირებული აქვს ეროვნული სასკოლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურების სტატუსით.**

I–VIII კლასებისთვის განკუთვნილი პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1) Word Building - სიტყვათა წყობა - მართლწერა, ლექსიკა, სუფიქსები და პრეფიქსები, ეტიმოლოგია, სიტყვების სწორად გამოყენება.

2) Science - მეცნიერება - ინტეგრირებული სწავლება საბუნებისმეტყველო საგნებში: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია. პროექტები და კონფერენციები.

3) Social Studies - საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტეგრირებული სწავლება. ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება.

4) English - ინგლისური ენის გრამატიკა და ლიტერეტურა.

5) Mat - მათემატიკა - მოიცავს მათემატიკის საფუძვლებს, ალგებრას, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიის საფუძვლებს.

აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ მოსწავლე აბარებს TOEFL-ის გამოცდას. წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, თუ სურვილი აქვს, რომ აიღოს ამერიკული საშუალო სკოლის ატესტატი მოსწავლემ IX-XII კლასებში უნდა დააგროვოს მინიმუმ 23 და მაქსიმუმ 30 კრედიტი, სადაც ერთი კრედიტი ერთი საგნის ერთ წლიანი პროგრამაა.

პროგრამის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს მისი სწავლების მეთოდიკა, რომელიც ძირითადად ინდივიდუალურ სწავლებას გულისხმობს და შესაბამისად, სასწავლო გარემო განსაზღრულია პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით, მერხები სტაციონალურად დამაგრებულია კედელთან და ზოგიერთ შემთხვევაში ოთახის შუაგულში, ამასთან მოსწავლეები ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან ტიხრებით. ასეთი მოწყობით

10

მასწავლებლებს აქვთ თავისუფალი სივრცე გადასაადგილებლად, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად მივიდნენ იმ მოსწავლესთან.

რაც შეეხება სასწავლო მასალას, ის მრავალჯერადი გამოყენებისაა და მასში სასწავლო კომპონენტების და სავარჯიშოების გარდა მოცემულია პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზნის უზრუნველსაყოფად ქრისტიანული მოძღვრების დიდაქტიკური აფორიზმები (მაგ.: მათემატიკის ამოცანასთან ერთად იმავე გვერდის ბოლოს აფორიზმია).

გარდა აღნიშნული პროგრამისა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ დამატებით მომსახურეობებს: რუსული ენა მე-3, მე-4 კლასებში შესაბამისად კვირაში 3 და 2 საათი, ცეკვა 1-4 კლასებში კვირაში ერთი საათი, მითოლოგია - მეოთხე კლასში კვირაში ერთი საათი ისწავლება.

სკოლის არჩევითი საგნებია: გეოგრაფიული კვლევა; X კლასში კვირაში 1 საათით;

შესავალი თანამედროვე ფიზიკაში; XI კლასში კვირაში 1 საათით;

სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა XII კლასში კვირაში 1 საათით;

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სასწავლო მასალისა და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა საგნებისა და კლასების/დონეების მიხედვით და დამხმარე ლიტერატურა.

მოცემულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები, რომელიც ესგ-ის ანალოგიურია. გეგმაში აღწერილია მოსწავლის შეფასების სისტემა.

სადამრიგებლო პროგრამები აგებულია სკოლის მისიით განსაზღვრული ფასეულობების ჩამოყალიბებაზე. სადამრიგებლო საათის პროგრამაში მოცემულია დამრიგებლის მუშაობის პრინციპები, ყველა კლასს ჰყავს თითო დამრიგებელი.

სკოლაში ყველა საგნისა და კლასის მიხედვით კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები და სქემები. ასევე შემუშავებულია შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა, შერჩევითი წესით შემოწმდა რამდენიმე პედაგოგის, სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებები (პორტფოლიო), რომელშიც მოცემულია შემაჯამებელი დავალების ტესტი, სწორად ამოხსნილი ტესტი (მასწავლებლის მიერ შესრულებული), მოსწავლის მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული ნიმუშები, შეფასების სქემა, ესგ-ს მისაღწევი შედეგები, თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული ქულა, მასწავლებლის ანალიზი და ზოგადი რეკომენდაციები. შემაჯამებელი დავალებებისა და მათი ანალიზების ფორმებში გამოიკვეთა შემდეგი შეუსაბამობები:

1. შემაჯამებლის შეფასების სქემებში არ არის გათვალისწინებული 1-4 ქულების მიღება და შეფასების სქემა იწყება 5 ქულიდან.

2.შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ხდება სემესტრების ბოლოს, რამდენიმე შემაჯამებელი დავალებისთვის ერთად და არ ხდება თითოეული შემაჯამებელი დავალებისთვის ცალკ-ცალკე

3.შემაჯამებლის ანალიზის ფორმები სემესტრული, 3-4 შემაჯამებლისთვის მითითებულია სტანდარტის ერთი ან ორი შედეგი და არა ყველა შემაჯამებლის მისაღწევი შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფურცელზე ადგილის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ყველა შედეგის ტექსტის ჩაწერა.

4.შემაჯამებელი დავალების შერჩეულ ნიმუშებში არ არის მითითებული შემაჯამებელი დავალების რიგითობა, თარიღი, კლასი, არ არის გამოყოფილი სამუშაო/პასუხების არე, ამ უკანასკნელ შენიშვნაზე მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებს დარიგებული ჰქონდათ პასუხების ფურცლები, თუმცა აღნიშნულ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ნაშრომებიდან პასუხების ფურცელი ვერ წარმოადგინა.

18

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შეფასების სისტემა, რომლის შესავალი თავსებადია ეროვნილი სასწავლო გეგმის შეფასების სისტემასთან. განმარტებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მნიშვნელობა, აკადემიური მიღწევის დონეები. კლასისა და საფეხურის დაძლევის ზღვრები.

აღსანიშნავია, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაცდენების დროს შეფასებისას აღნიშნულია, რომ:

- <u>თუ ზოგადი განათლების საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისათვის ერთი სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%¼ და მეტი და არანაკლებ 1/2-ისა, მის სემესტრულ ნიშანს აკლდება 20%; მიღებული ნიშნით უკმაყოფილების შემთხვევაში, მოსწავლეს ეძლევა საშუალება გავიდეს სკოლის მიერ ორგანიზებულ სემესტრულ გამოცდაზე, რომლის გრაფიკსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი;</u>
- <u>თუ საშუალო საფეხურის მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისათვის ერთი სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 1/2-ზე მეტი, ამ საგანში შეფასებას იღებს ექსტერნის ფორმით დაძლევის გამოცდის საფუძველზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.</u>

აღნიშნული რეგულაციებით დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც: „თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე“

მსგავსი, ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული რეგულაციები აქვს სკოლას გამოცდის ტიპების და პირობების განსაზღვრისას, კერძოდ სასკოლო სასწავლო გეგმის პუნქტი გამოცდის ტიპები, ვკითხულობთ

<u>მუხლი 1. სემესტრული გამოცდა: თუ მოსწავლეს ნიშნის გაუმჯობესება სურს. განიხილება ორი შემთხვევა</u>

<u>1) როდესაც მოსწავლეს სემესტრის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის დათმობილი საათების 1/4 ან მეტის გაცდენის გამო დააკლდა სემესტრული ნიშნის 20% და ამ ნიშნის გამოსწორება სურს;</u>

<u>2) როდესაც მოსწავლეს თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.</u>

აღნიშნულით დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის 23[1] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც „სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის“.

სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, მოცემულია ნიშნის 20%-იანი დაკლების საანგარიშო ცხრილები. სადაც აღნიშნულია სემესტრების მიხედვით კვირაში კონკრეტული რაოდენობის საათების დატვირთვის შემთხვევაში რამდენი გაცდენა არის 20% და მეტი, აქვე მოცემულია ცხრილი, სადაც ასახულია ნიშანზე 20%-იანი დაკლების შემთხვევაში მიღებული ქულები, თუმცა მხოლოდ 10-დან 7- მდე ნიშნებისთვის და არაა განხილული 6-ანის, 5-იანის....1-იანის შემთხვევები

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ასევე საპატიო და არასაპატიო გაცდენების ტიპები. ჩამოთვლილია შემთხვევები როდის შეიძლება გაცდენა ჩაითვალოს საპატიოდ, კერძოდ:

- <u>გაკვეთილების გაცდენა ჩაითვლება საპატიოდ, რომელიც გამოწვეულია: სამედიცინო გამოკვლევებით; ახლო ნათესავის გარდაცვალებით; დაწყებით საფეხურზე მშობლის უუნარობით, მიიყვანოს მოსწავლე სკოლაში; მოსწავლლის მოკლევადიანი მოგზაურობით, რომელიც ერეთი სასწავლო წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 30 სამუშაო/სასწალო დღეს; მოსწავლის ვალდებულებით, გამოცხადდეს სახელმწიფო</u>

18

დაწესებულებაში; მოსწავლის ოჯახის წევრების ავადმყოფობისას, მოსწავლის მიერ მათზე ზრუნვის აუცილებლობით ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მოსწავლე იღებს მონაწილეობას ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც ეხება მოსწავლის უნარების განვითარებას და ცოდნის გაღრმავებას ან წარმოჩენას. საპატიოდ ითვლება, აგრეთვე, ის გაცდენები, რომლებიც ეხება შეზღუდული უნარის მქონე (ინკლუზიურ) მოსწავლეებს.

- იმისათვის, რომ გაცდენა მიჩნეულ იქნას საპატიოდ, მშობელი/მშობლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია მოსწავლის დაწესებულებაში გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში წარმოადგინოს განცხადება, მოსწავლის მიერ გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენის მიზეზის მითითებით.
- გაკვეთილების გაცდენა ჩაითვლება საპატიოდ დირექტორის გადაწყვეტილებით დამრიგებლის წარდგინების საფუძველზე. თუ დირექტორი გაცდენას მიიჩნევს არასაპატიოდ და თუ მოსწავლე ან მისი მშობელი/მშობლის კანონიერი წარმომადგენელი არ ეთანხმება დირექტორის გადაწყვეტილებას, მოსწავლის გაცდენის საკითხი გადაეცემა დისციპლინურ კომიტეტს. საბოლოო გადაწყვეტილებად ითვლება დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსწავლის გაცდენის არასაპატიოდ მიჩნევის თაობაზე, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნული ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც გაცდენების უგულებელყოფა ანუ ე.წ. საპატიოდ ჩათვლა შესაძლებელია მხოლოდ „იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე".

სკოლამ წარმოადგინა „შპს „მომავლის სკოლის" შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები", რომელშიც დისკუსიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ერთ-ერთ კრიტერიუმი არის მოსმენა, რომელიც სამ დონიანია მათი შესაბამისი ინდიკატორები ასე გამოიყურება:

	1-4	5-7	8-10
მოსმენა	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს

ინდიკატორების აღწერაში განსხვავება ისაა, რომ მოსწავლე **ყოველთვის უსმენს** ორატორს, **ხშირად** თუ **იშვიათად**, მაშინ, როცა ყველა შემთხვევაში უყურებს მას. რაც არაადეკვატურია, რადგან ვერ გაიზომება როდის ხშირად უსმენს და როდის იშვიათად.

პრეზენტაციის შეფასების სქემაში წარმოდგენილია შესაფასებელი კრიტერიუმი **საუბარი**, სადაც 5-დონიანი შეფასებაა და 1-2 ქულა იწერება, თუ **„გაუგებრად ლაპარაკობს"**, ხოლო 3-4 ქულა იწერება თუ **„დაბნეულია და გაუგებრად ლაპარაკობს"**.

კათედრის პოტფოლიოებში არსებულ შემაჯამებელ დავალებებს ახლავს შეფასების სქემები, რომლებშიც ინდიკატორები ბუნდოვანია და შეუძლებელია მათი საშუალებით გაზომვა. მაგ.: „კარგად ფლობს მასალას", „მასალა არ იცის მყარად", „ცოდნა არამყარია", „სუსტად ფლობს მასალას". აღნიშნული ინდიკატორები **„კარგად" „სუსტად"**, ვერ იძლევა ობექტური გაზომვის საშუალებას და ბუნებრივია შეფასებაში სუბექტივიზმი იქნება და, მაშასადამე, გამჭვირვალობაც არ შედგება.

დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლეები მიმდინარე განმავითარებელ შეფასებებს იღებენ სამუშაო რვეულების საშუალებით, რომლებიც მოსწავლეებს წაღებული აქვთ, ამიტომ ვიზიტის დროს ვერ წამოადგინეს. აღნიშნული დაადასტურეს მშობლებმაც ინტერვიუირებისას და დაამატეს, რომ წარმატების შემთხვევაში „ღიმილებსაც" იღებენ მათი შვილები. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას/კომენტარს წლის ბოლოს სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთ შეფასებებს არ აკეთებენ, სამაგიეროდ თითქმის ყველა მოსწავლე იღებს სიგელს, რომელშიც მისი წარმატებაა ჩაწერილი. **აღნიშნულით დარღვეულია ესგ-ს მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც** *„I-IV კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად".*

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

„მომავლის სკოლა" დაარსდა თბილისში 1992 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ერლ და ჯენეტ თრითების მიერ, რომლებიც დღემდე კურირებენ სკოლას. 1995წ. სკოლა დარეგისტრირდა, როგორც ქართული არასახელმწიფო საერო სასწავლებელი (ლიცენზია N01-17-08/855). 1999წ. სკოლამ შეიცვალა სახელი და გახდა შპს მომავლის სკოლა (ლიცენზია N01-17-10-02/2187). 2011წ. სკოლამ გაიარა ავტორიზაცია (დოკუმენტი N 04-11079).

მსგავსი სკოლები ფუნქციონირებენ მსოფლიოს 145 ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში, ინგლისში, ავსტრიაში, ესპანეთში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში და ა.შ.(იხ. http://www.aceministries.com). სკოლაში სასწავლო პროცესი ინგლისურენოვან და ქართულენოვან სექტორებად იყოფა.(იხ.სკოლის ვებგვერდიhttp://st.edu.ge/main/modules/2/10).

ადმინისტრაციამ თავდაპირველად განმარტა, რომ შპს „მომავლის სკოლა" წლების განმავლობაში ახორციელებს მეორე უცხო ენის - ინგლისურის გაძლიერებულ სწავლებას ამერიკული პროგრამით და ვებგვერდზე, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სხვადასხვა დოკუმენტში დაფიქსირებული „სექტორი" ტექნიკური ხარვეზია და რომ სკოლაში არ არსებობს ინგლისური სექტორი, თუმცა, მოგვიანებით (ვიზიტის მეორე დღეს) დაწესებულების ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ უცხოური ენის-ინგლისურის გაძლიერებული სწავლება ამერიკული პროგრამით ხორციელდება ქართული ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამისაგან გამოყოფილი სახით და არ არის შეჭრილი ინტეგრირებული ქართულ პროგრამასთან. ამასთანავე, სკოლაში რომ ინგლისური და ქართული სექტორები არსებობს, ადასტურებს სკოლის დირექტორის ბრძანება N02-27 მოსწავლეთა კლასების მიხედვით ქართულ და ინგლისურ სექტორებზე ჩარიცხვის შესახებ **(დანართი N9 სკოლის ადმინისტრაციის ახსნა-განმარტებითი ბარათი, დირექტორის ბრძანება N02-07)**

უნდა აღინიშნოს, რომ **2015 წლის 13 ივნისს** მოულოდნელად მოვარდნილმა ადიდებულმა წყალმა (მდ. ვერეს ხეობა), სრულად დაფარა სკოლის შენობა და უსარგებლო გახადა ნაგებობა. ამიტომ სკოლის ადმინისტრაცია იძულებული გახდა სასწავლო პროცესი გაეგრძელებინა სხვა ფაქტობრივ მისამართზე.

კერძოდ, **შპს „მომავლის სკოლამ"** სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით **ფართის ქირავნობის შესახებ გააფორმა ქირავნობის ხელშეკრულება შპსს „ჯი-ემ-სისთან"** შენობის 1329 კვ.მ ფართიდან 1049,85 კვ.მ. ფართის გამოყენებასთან დაკავშირებით. **ამასთანავე, ისიც**

უნდა აღინიშნოს, რომ, მე-3 სართულზე, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, განთავსებულია შპს "ჯი-ემ-სის" ოფისიც, რომელიც არ არის გამოჯნული სასწავლო დაწესებულებისაგან.

სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს შენობის მე-3 და მე-4 სართულებზე. ვიზუალური დათვალიერებით შენობის მე-3 და მე-4 სართულებზე განთავსებულია **8 საკლასო ოთახი, სადაც სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე და 5 ოთახი, სადაც** სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, **სწავლა ძირითადად მიმდინარეობს გაძლიერებულ ინგლისურ ენაზე ამერიკული პროგრამით,** რომელიც დაფუძნებულია ინდივიდუალურ მეთოდიკაზე და ითვალისწინებს მოსწავლესთან ინდივიდუალურ მიდგომასა და დამოკიდებულებას.

ქართული სექტორი: ქართული სექტორისათვის (მე-3 და მე-4 სართულზე) განსაზღვრული 8 საკლასო ოთახი აღჭურვილია დაფებითა და მოსწავლის **133** ინდივიდუალური **მერხითა და 134 სკამით.**

ინგლისური სექტორი: ინგლისური სექტორის კურიკულუმის სახელია **Accelerated Christian Education** - დაჩქარებული (გაძლიერებული) ქრისტიანული განათლება, რომლის განხორციელება ხდება სკოლათა საერთაშორისო ქსელში. ერთი შეხედვით ამგვარი სკოლების უმრავლესობა გამოიყურება როგორც შენობის, პერსონალისა და პროგრამების ერთობლიობა. ,,ACE'' - პროგრამა კი განსხვავებულია, ის უკვე 40 წელია **რეფორმული ბიბლიური სწავლების ფუძემდებელია.** მისი ფილოსოფია ემსახურება ღვთისმეტყველების ძირითად პრინციპებს და მოსწავლეებს ასწავლის ცხოვრების განსხვავებულ ხედვას, რომლის მიხედვითაც მათ **პასუხისმგებლობა უნდა აიღონ სწავლაზე ღვთიური სიბრძნით.** შესაბამისად, სასწავლო გარემოც მოწყობილია ამ პრინციპებისა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, 5 სასწავლო ოთახში (ე.წ. სასწავლო ცენტრში) მერხების (ანუ ოფისების) უმეტესობა სტაციონალურად არის დამაგრებული კედლებთან, ნაწილი მერხებისა კი ოთახის შუაგულშია განთავსებული **(133 სამუშაო მაგიდა ანუ მერხი//ოფისი თავისი რბილი საოფისე სკამებით).** მოსწავლეები ერთმანეთისაგან ტიხრებით არიან იზოლირებულნი. ინტერვიურებით ირკვევა ისიც, რომ სასწავლო სივრცის ამგვარად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ერთი მხრივ, მოსწავლე იზოლირებულია სხვა მოსწავლისაგან, აქვს პირადი ინდივიდუალური სამუშაო ადგილი, მისი სუსტი მხარეები სხვა მოსწავლისათვის უცნობია და, მეორე მხრივ, მასწავლებელს უადვილდება თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური ურთიერთობა.

ვიზუალური დათვალიერების დროს ექსპერტები მხოლოდ ქართული სექტორისათვის განკუთვნილ 8 საკლასო ოთახში განთავსებული მერხებისა და სკამების რაოდენობით დავინტერესდით. აქედან გამომდინარე, კი 133 მერხი და სკამი (როლებიც ქართული სექტორისათვის განკუთვნილ 8 საკლასო ოთახში იყო განლაგებული) მხოლოდ 133 მოსწავლისათვის იყო განსაზღვრული და არა თუნდაც 200-მდე მოსწავლისათვის.

სკოლის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ, მართალია, ე.წ. 5 სასწავლო ცენტრი (5 კლასი) მოწყობილია ამერიკული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგრამ ამ სივრცეს იყენებენ არა მარტო ამერიკული პროგრამისათვის, არამედ ქართული სექტორისათვისაც პრეზენტაციებისა და შემაჯამებელი დავალებების ჩატარების დროს. ამასთანავე, აღნიშნული პოზიციის გასამყარებლად ვიზიტის ბოლო დღეს სკოლის ადმინისტრაციამ ამერიკული პროგრამისათვის განკუთვნილ 4 ოთახში (ე.წ. სასწავლო ცენტრში) განათავსა **65 ინდივიდუალური მერხი** და რბილი საოფისე სკამი, რაც შეეხება დაფებს თავდაპირველად შეიძინეს 4 პატარა მაგნიტური დაფა, ხოლო შემდეგ 4 დიდი მოძრავი დაფა, რომელთა შეძენის ქვითრებიც წარმოადგინეს.

ექსპერტები გავეცანით როგორც ინგლისურენოვანი ამერიკული პროგრამის გაკვეთილების დღის რეჟიმს, ისე ქართულ სექტორზე გაკვეთილების ცხრილს. ამერიკული პროგრამისთვის განკუთვნილი 5 სპეციალური საკლასო ოთახი ე.წ. „სასწავლო ცენტრი" მუდმივად დაკავებულია დღის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ამერიკული პროგრამის დღის რეჟიმისა და გაკვეთილების ცხრილის გაცნობით, ამერიკული პროგრამის სწავლების მეთოდიკის თავისებურების გათვალისწინებით შუძლებელია ამერიკული პროგრამით სწავლებისათვის განკუთვნილ ოთახებში ქართული სექტორისათვისაც სწავლების განხორციელება. ჩვენს პოზიციას ამყარებს მოსწავლეებთან ინტერვიურებაც. კერძოდ, 2015-2016 სასწავლო წელს ქართულ ენაზე საწავლება მიმდინარეობს მხოლოდ ქართული სექტორისათვის განსაზღვრულ 8 საკლასო ოთახში, ხოლო გაძლიერებული ინგლისურის ამერიკული პროგრამით კი - 5 ოთახში, სადაც მხოლოდ განსხვავებული სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით არის შესაძლებელი აღნიშნული პროგრამის განხორციელება. **https://www.aceministries.com/curriculum/?content=whyace**

ამასთანავე, ექსპერტები გავეცანით სკოლის ვებგვერდსა და დირექტორის N02-27 ბრძანებას მოსწავლეთა კლასების მიხედვით ქართულ და ინგლისურ სექტორზე ჩარიცხვის შესახებ(დანართი N9), საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულებაში 2015-2016 სასწავლო წელს ფუნქციონირებდა მოსამზადებელი პროგრამის ჯგუფი 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის. თუმცა ინტერვიურებითა და პარტნიორთა კრების ოქმის ამონაწერით დგინდება, რომ ახალი სასწავლო წლიდან მოსამზადებელი პროგრამა 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის აღარ განხორციელდება.

შენობის მე-4 სართულზე სპორტის გაკვეთილებისათვის შერჩეულია ერთი ოთახი (99,66,82 კვ.მ), რომელსაც არც ფანჯრები აქვს და არც ბუნებრივი განათება. სპორტის სახეობებიდან სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს **რაგბს,** რომელიც გაურკვეველია სად და როგორ ჩატარდება, რადგან ადმინისტრაციის განმარტებით სურვილი აქვს სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტში ჩაერთონ, **მაგიდის ჩოგბურთს, კალათბურთსა და ბადმინტონს.** ამასთანავე, სკოლას აქვს სადემონსტრაციოს **ჭადრაკის დაფა და ჭადრაკის 9 კომპლექტი ,** პინპონკის ერთი მაგიდა, ბადმინტონის 5 კომპლექტი, სავარჯიშო ლეიბები, ბურთები, ტატამი, ბაგირი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს I-III სართულის კიბის უჯრედების სახელურებზე დამონტაჟებული იყო ასაკეცი პანდუსები. ადმინისტრაციის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში შიდა სართულის კიბეები აღიჭურვება აღნიშნული პანდუსებით. III-დან IV სართულზე ასაკეცი პანდუსი არ არის განსაზღვრული. ვინაიდან შენობის IV სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, ისტის კბინეტი და სპორტის ოთახი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ იქნება **უზრუნველყოფილი სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.**

რაც შეეხება ადაპტირებულ სველ წერტილს **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის** სკოლას ამ ეტაპზე არც სსსმ მოსწავლე ჰყავს და არც ადაპტირებული სველი წერტილი აქვს.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

სკოლის პედაგოგები შერჩეული არიან სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამება საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლის ქართულ სექტორში დასაქმებულის სულ 30 მასწავლებლი. აქედან 7 უფროსი და 23 პრაქტიკოსი მასწავლებელია. პირადი საქმეების დათვალიერებით აღმოჩნდა:

- 2016 წლის 1-ლი აგვისტოდან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დანიშნულია ჭადრაკის მასწავლებლის თანამდებობაზე პედაგოგი, რომელსაც კვალიფიკაცია უდასტურდება, მაგრამ არ არის ჩართული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში".
- ასევე, 2016 წლის 1-ლი აგვისტოდან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დანიშნულია საღმრთო ისტორიის მასწავლებლის თანამდებობაზე პედაგოგი, რომლის პირად საქმეში მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი იყო. ინტერვიურებით, გაირკვა, რომ პედაგოგი ერთ-ერთი ეკლესიის მოძღვარია, მშობელთა მოთხოვნით დაინიშნა ინგლისურ სექტორზე.

ექსპერტებმა აღნიშნეს რომ სკოლამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია რომელიც კვლავ ტოვებდა ღია კითხვებს, ამიტომ სთხოვა საბჭოს რომ თავად დაწესებულებას განემარტა საკითხი.

დაწესებულებამ განმარტა რომ სტიქიის შემდეგ სკოლა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მათთვის უკვე გამოყოფილი იყო სკოლის მშენებლობისათვის ფართი სადაც 400 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა აშენდებოდა. ასევე წარმოდგენილ იქნა ახალი ცხრილი.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს და ექსპერტებმაც დაადასტურეს რომ საკლასო ოთახები და ინვენტარი არ იყო საკმარისი სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა შესაბნამისი რესურსი რომ გამოეთავისუფლებინა ოთახები სასწავლო მიზნებისათვის. ამასთან, აღინიშნა რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტის შენიშვნები და ზრუნავს მათ გამოსწორება.

სხდომაზე 18:00 საათზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 19:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და ზღვრული რაოდენობის 193-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა ქეთევან ჭკუასელმა.

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მომავლის სკოლას (ს/კ: 211356272) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 193-ით.

საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღეს 2015 წლის 13 ივნისის სტიქია, ამასთან მიმართეს სკოლას რომ ეთანამშრომლა ცენტრთან და სრულად გაეთვალისწინებინათ რეკომენდაციები, რის შემდეგაც სკოლაში განხორციელდებოდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი. მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო სასწავლო პროცესის დროს, გონივრულ ვადაში. რაც შეეხებოდა ახალ ფართს, როდესაც სკოლა გადავიდოდა ახალ მისამართზე, ბუნებრივია იქაც ხელახლა განხორციელდებოდა მონიტორინგი.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებებში ასევე 17 აგვისტოს გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომები, კერძოდ, გადაწყვეტილებების მე-2 პუნქტში არასწორად იყო მითითებული დაწესებულების სახელწოდებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებებში და 17 აგვისტოს გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის №38, №39, №40, №41 და №42, გადაწყვეტილებაში, ასევე 2016 წლის 17 აგვისტოს №58, გადაწყვეტილებაში უზუსტობების გასწორების მიზნით, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:20 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირინა აბულაძე

მდივანი

თამარ ფხალაძე